ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების

გაერთიანებული სხდომის

ოქმი № 22

20 ნოემბერი, 2018 წელი
10 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი და კომისიის წევრები:

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

გულია გოცირიძე

ასევე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და საფინანსო საქალქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

გაერთიანებული სხდომის კომისიების წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 2 კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა. მან კომისიის წევრებს ბიუჯეტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მისი განმარტებით, თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 871 631 000 ლარით. გაიოზ თალაკვაძემ ასევე პროგრამებისა და ქვეპროგრამების მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრა.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საკრებულოს წევრების დასმულ შეკითხვებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ ამომწურავი პასუხები გასცა.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 15 ნოემბრის №12-0318319154 წერილი).

როგორც მან განმარტა, კომისიის მიერ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებისთვის პროგრამული კოდით 02.09.01 გათვალისწინებულ თანხებზე (6 300 000 ლარი).

კომისიის მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი 02.09.01 პროგრამული კოდის ის ნაწილი, სადაც საუბარია ქუჩების ნუმერაციის

აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებზე. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 450 000 ლარი, რაც 50 000 ლარით ნაკლებია გასული წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ თანხებზე. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ხსენებულ პროგრამულ კოდში 02.09.01 გათვალისწინებული არ არის კონკრეტული თანხები სკვერების აღმნიშვნელი აბრების დამზადება-მონტაჟის სამუშაოებისთვის. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პროგრამული კოდით 02.09.01. გათვალისწინებული 450 000 ლარიდან მოხდეს თანხების გადანაწილება სკვერების აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის სამუშაოებზეც.

გადაწყვიტეს: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი უკან დაუბრუნდეს ქ. თბილისის მერს შესაბამისი მოტივირებული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

კომისიების თავმჯდომარეებმა თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები და წინადადებები დასკვნების სახით უნდა წარმოადგინონ, რაზეც ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უახლოეს სხდომაზე იმსჯელებს, ხოლო თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

თ.ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

20 ნოემბერი , 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	გ. გოცირიძე
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი